ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2443 პარასკევი, 19 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2443

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ნქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 აპრილამდე უეჭველად გამოგზავნოს ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 19 მარტს, უკანასკნელი წარმოდგენა ნ. ნ. ფიგნერის საბენეფისოდ; წარმოდგენილი იქნება

კარმენ

ოპერა 4 მოქ., მუსიკა ბიზესი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, კარრი, ჩიკოვა, ლელინა; ბ-ნნი ფიგნერი, ილიუშჩენკო, კამიონსკი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ძმ. ნიკიტინების ცირკში

პარასკევს, 19 მარტს, უკანასკნელად გაიმართება კავკასიური

ჭიდაობა

ცნობილ კავკასიელ მოჭიდავეთა **კ. მაისურაძესა** და ცნობილ მოჭიდავის **ა. მერაბაშვილს** შორის. პრემია 25 მან. და **ლვინიანიძესა** და **ცერაძის** შორის. ვინც გაიმარჯვებს, პრემია 25 მან. მიეცემა. ჭიდაობა მოხდება მეორე მოქმედების შემდეგ. დასასრულ, პირველად პანტომიმა „ზანგის ქორწილი“. დაწვრილებით იხილე აფიშებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა

დაიხურება კვირას, 21 მარტს, საღამოს 5 საათზე. შესასვლელი ფასი—20 კაპ. ამ დღეს 9-დან 12 საათამდე უსასყიდლოდ შეიძლება შესვლა. (2—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ზ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვების—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ძ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და სამეანო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ზ. ზ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან უთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—6.—5)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი

ბერლინი. იოკაჰამიდან იტყობინებიან: ადმირალ ტოგოს მოხსენებით, პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავლის შეკვრის დროს მოკლულ იქმნა იაპონიის 2 აფიცერი და 2 მეზღვაური, დაიჭრა 9 კაცი; დანარჩენნი გადარჩნენ და იაპონიის გემებმა წაიყვანესო.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). პარლამენტის საგანგებო კრებამ დაასრულა მუშაობა. პარლამენტმა მიიღო მთავრობის მიერ წარდგენილი წინადადება სამხედრო გადასახადებისა და დანარჩენ საფინანსო ღონისძიებათა შესახებ. სესია ოფიციალურად 17 მარტს დაიხურება.

ტოკიო („ვოლფის სააგ.“). რუსებსა და იაპონელებს შორის კორეაში მომხდარ შეტაკების შესახებ მოხსენებაში ნათქვამია: 15 მარტს, დილის 11 საათზე, იაპონელთა ქვეითა ჯარის რაზმი და კავალერია შეეჩხა რუსეთის ცხენოსანთა რაზმს, რომელსაც დაეჭირა ჩიონ-ჯიუ. რუსების რაზმი 600 კაცისაგან შესდგებოდა. იაპონელების ზარალი: მოგვიკლეს ერთი აფიცერი და 4 ჯარის-კაცი და დაიჭრა 2 აფიცერი და ათი ჯარის-კაცი. ასეთივე ზარალი მოსვლია რუსებსაც.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

18 მარტი.

ლონდონი. იაპონიის ელჩმა ვიკონტ გაიაშიმ გამოსცა დღეს ოფიციალური ცნობა 15 მარტს ჩიონ-ჯიუსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ: იაპონელებს მოუკლეს ლეიტენანტი კანო და ოთხი ჯარის კაცი და დაუჭრეს კაპიტანი კუროვაკა და 12 ჯარის-კაცი.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. ბერლინში ჰფიქრობენ, ვლადივოსტოკის ესკადრა ნავთ-სადგურს ახლო დგას და ხან-და-ხან სამხრეთისაკენ წავა ხოლმეო. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ის აზრით, ეს ესკადრა უმთავრესად იაპონელებს პოსიეტის ყურესა და პლაქსინის ბუხტას შუა ჯარის გადაყვანას უშლის. იაპონელებმა რომ კუნძულ სახალინის დაჭერა და იქაურ ქვა-ნახშირის საწყობების ხელში ჩაგდება მოინდომონ, ვლადივოსტოკის ესკადრა ხელს ვერ შეუშლისო („რ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „რამწამს ომი დაიწყო, იაპონელებმა ელიოტის კუნძულები დაიჭირეს და იქ ქვა-ნახშირისა და სამხედრო სურსათის საწყობები გამართეს. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელი რეევენტლოვი სწერს: 9 მარტს, ადმირალმა ტოგომ რომ პორტ-არტურს ზარბაზანი დაუშინა, იქნება იაპონელებს ამ დროს ელიოტის კუნძულებზე პონტონები და ტივები გადაჰქონდათ, რომ მერე ეს მასალა ტალიენკანის ბუხტაში ჯარის გადასაყვანად მოიხმარონო. ლონდონში დეპეშა მიუღიათ ცინამპოდან: იაპონელებს აქ დიდ-ძალი ჯარი მოჰყავთ და მერე აქედან პინიანისაკენ ჰგზავნიან. პინიანში უზარმაზარ სანგრებს ჰმართავენო“.

ბერლინის სამხედრო წრეები დარწმუნებულნი არიან, 9 მარტს იაპონელებმა ცინამპოში ჯარი გადაიყვანესო. იაპონიის სატრანსპორტო გემები ეხლა შინ წავიდნენ ახალ ჯარის მოსაყვანად და, რამწამს ეს გემები ყვითელ ზღვაში დაბრუნდებიან, ადმირალი ტოგო ხელ-ახლად დაეცემა პორტ-არტურსაო („ბ. ვ.“).

ჩიფუდან ამბავი მოვიდა, ლიაოტეშანის აღმოსავლეთით რუსები ახალ ფორტს (სიმაგრეს) აშენებენო. ამ ფორტს იმისათვის აშენებენ, რომ იაპონელები, პორტ-არტურზე დაცემის დროს, ლიაოტეშანს მოეფარებოდნენ ხოლმე და რუსის ბატარეები იმათ ფლოტს ველარას აკლებდნენო. („რ.“).

„დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: რუსები ანდუნს (იალუს შესართავთან, მარჯვენა მხარესაა) ამაგრებენ; ჯერ 10 ზარბაზანი დადგეს. რუსის უმთავრესი რაზმები-კი ლიაოიანსა და მუკდენში იკრიბებაო. („ბ. ვ.“).

ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს.“-სა: აქ ჰფიქრობენ, მუკდენის გზაზე მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო. მდინარე ლიაოზე ყინული თითქმის სულ გადნა. რუსებმა გადასწყვიტეს, ნიუჩუანში მედგრად დაუხვდნენ იაპონელებსაო. ლიაოხეს შესართავში ნაღმები ჩააწყეს და ახალი ფორტი ააშენეს. ფორტის დასავლეთ მხარეს ყაზახების ძლიერი რაზმი დგასო.

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი იუწყება ინკოუდან: გერმანიის მთავარმა კონსულმა ინკოუში გერმანიის ყველა ქვეშევრდომი შეჰკრიბა და გამოუცხადა: თუ აქ დარჩით და რამე შეწუხებაში ჩავარდით, ვისიმე დახმარების იმედი ტყუილად გექნებათ, მე ბრალი ამიყრიაო. („რ.“).

ირწმუნებიან, იაპონიამ ცნობილი ჰაერონავთი სანტოს დიუმონი მოიწვია, თქვენი ჰაეროსტატი ბრძოლის ველზე სცადეთ, სამხედრო საქმეებისათვის გამოდგება, თუ არაო. („რ. ვ.“).

„რუსკი ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომლის ანგარიშით, ამ ჟამად იაპონელებს ჩრდილოეთ კორეაში ჰყავთ: 1. ქვეითა ჯარი—20 პოლკი ან 60 ბატალიონი—56 ათასი კაცი. 2. კავალერია—7 პოლკი ანუ 23 ესკადრონი—4,300 კაცი. 3. არტილერია—5 პოლკი ანუ 30 ბატარეია—3,600 კაცი—180 ზარბაზანი. 4. საინჟენერო ჯარი—5 ბატალიონი ანუ 15 როტა—3 ათასი კაცი. 5. საქარავნო („ობოზ“) ჯარი—5 ბატალიონი ან 10 როტა—3,100 კაცი. სულ 60 ბატალიონი, 23 ესკადრონი, 30 ბატარეია, 25 როტა—70 ათასი კაცი. ამას უნდა დაემატოს შტაბი, აფიცრები, ჟანდარმები, სამხედრო ტელეგრაფისტები. ასე რომ ჩრდილოეთ კორეაში იაპონელებს ამჟამად სულ 75 ათასი კაცი და 25—26 ათასი ცხენი ეყოლებათ და 180 ზარბაზანი ექნებათ. 60 ათასი ჯარის-კაცი პინიანში დგას, დანარჩენი ანჩჟუსა და ჰაკჩენში. ამ ჯარს გენერალ-ლეიტენანტი კუროკი უფროსობს. კუროკის ჯარს საუკეთესო არტილერია ჰყავს: 180 7½ სანტიმეტრიანი მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი აქვს 1897 წლის სისტემისა. რამდენად ძლიერია გენერალ კუროკის არტილერია, ეს იქიდან სჩანს, რომ ომამდე რუსეთს შორეულ აღმოსავლეთში სულ 196 ზარბაზანი ჰქონდა. სამაგიეროდ გენერალ კუროკის კავალერია ჰყავს ცოტა, მაგრამ ცხენოსან ჯარის მნიშვნელობას ზოგი მეტად აზვიადებს. ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ეხლა ყველანი მსწრაფლ და შორს მსროლელ იარაღსა ხმარობენ და კავალერიას უწინდებურად არც ქვეითა ჯარზე შეუძლიან იერიშის მიტანა, არც არტილერიაზე. არც თუ მტრის ჯარის დაზვერვა შეუძლიან კავალერიას უწინდებურად: ეხლა ცხენოსანი ჯარი ახლო ველარ მიდის მტრის ქვეითა ჯართან, 2—3 ვერსის მანძილზე ძლივს მიუახლოვდება ხოლმე და ამიტომ მტრის ჯარს რიგზე ველარა ჰხვერავს. კუროკის ჯარი, ანუ იაპონიის პირველი არმია, როგორც ვიცით, მდინარე იალუსაკენ მიდის და სამხრეთ მანჯურიაში შეჭრას აპირობს. („რ. ვედ.“).

გაზ. „ნოვი კრაი“-ში დაბეჭდილია პორტ-არტურის კომენდანტის ორი ბძანება. ერთს ბძანებაში ნათქვამია: „მე შევნიშნე, რომ, რამწამს იაპონელები პორტ-არტურს ზარბაზანს დაუშენენ, ბევრი დაწესებულება მაშინვე იკეტება და მოსამსახურეები, ვინ იცის, სად მიდიან. ბატარეებზე არ შემხვედრიან, მაშასადამე მოსამსახურეები უფრო უშიშარ, მყუდრო ადგილებში მიდიან სადმე. მიბძანებია, რომ ამას იქით დანიშნულ დრომდე არც ერთი დაწესებულება აღარ დაიკეტოს, რადგან ამით ხალხის ინტერესებს ზარალი ეძლევა. ვინც ამ ბძანებას არ აასრულებს, ჩემის უფლებით დავსჯი“. მე-2 ბძანებაში სწერია: „გავიგე, რომ „ედემის“ რესტორანში ყოველ დღე საძაგელი ამბები ხდება. ამიტომ ეს რესტორანი დაუყოვნებლივ დაიკეტოს.“

ამურის ოლქის სამხედრო გუბერნატორს შემდეგი დეპეშა მოსვლია: გენერალი ფლუგი იწერება, ნამესტნიკი ადმირალი ალექსეევი დარწმუნდა, მობილიზაციის დროს (ომში გაწვევის დროს) მეტად მრავალი ხალხი თხოულობს დაცდასა და სხვა შეღავათს და ბძანა, რომ, რაც შეიძლება ნაკლები ხალხი გაანთავისუფლოთ სამხედრო სამსახურისაგანაო („ნ. ვ“.).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი ჩიფუდან პორტ-არტურს წასულა გემით ადმირალ მაკაროვის სანახავად და ახალ ამბების გასაგებად. პორტ-არტურის რეიდზე გემთან რუსის ნაღმიანი გემი მისულა და კორესპონდენტი გაუჩერებია. რუსის კაპიტანს გამოუცხადებია კორესპონდენტისათვის, პორტ-არტურის ნავთ-სადგურში შესვლისა და ადმირალ მაკაროვის ნახვის ნება ვერ მოგცემთო („რ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს სწერენ: ვლადივოსტოკის ესკადრა (კრეისერები „გრომობოი“, „როსსია“, „ბოგატირი“ და „რიურიკი“) თებერვლის დამდეგს ვლადივოსტოკის ნავთ-სადგურში დაბრუნდა და თან დავლა მოიტანა. დავლა დიომიდის ბუხტის რეიდზე

დააყენეს. ესკადრას დიდ-ძალი ხალხი და მოხელე მიეგება ნავთ-სადგურზე. კრეისერები რომ ნავთ-სადგურში შედიოდნენ, „ბოჟე ცარია ხრანი“ დაუკრეს.

ის ცნობა, ვითომ შანდუნში ჩინელებს უწესოება მოეხდინოთ, ოფიციალურად არა მტკიცდება. გერმანელთა რკინის გზის მოძრაობა ერთს წამს არ შეუწყვეტილა („ბ. ვ.“).

ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა. „პრიამურსკი ვედომოსტი“-ში დაბეჭდილია უმაღლესი დეპეშა შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის სახელობაზე გაგზავნილი. ამ დეპეშაში ნათქვამია: „ეხლანდელმა მეტად მნიშვნელოვანმა ბრძოლამ საბოლოოდ უნდა უზრუნველჰყოს რუსეთის პირველობა დიდ ოკეანეს ნაპირებზე. წინადვე ვატყობ, რომ ამ ბრძოლის დროს თქვენ, როგორც ჩემს ნამესტნიკს, უფრო ცენტრალურ ადგილას მოგიხდებათ თქვენის რეზიდენციის (ბინის) გადატანა, მაგალითად ხარბინში, ან სხვაგან, სადაც ამჯობინებთ. ამიტომ სასარგებლოდ ვსცანი, თანაშემწეებად დაგინიშნოთ: გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ხმელეთის ჯარის უფროსად და ვიცე-ადმირალი მაკაროვი ფლოტის უფროსად. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დამოუკიდებელი და პასუხის მგებელი უფროსები თქვენ, როგორც ჩემს ნამესტნიკს, შეგაძლებინებენ ისტორიულ მძიმე დანიშნულების ასრულებას. **ნიკოლოოზი**“. ეს დეპეშა 7 თებერვალსაა გაგზავნილი. („რ. ვ.“).

საუბარი რუსეთის საზღვაო მინისტრთან. ფრანგულ გაზ. „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტს პეტერბურგში რუსეთის საზღვაო მინისტრი ადმირალი აველანი უნახავს და ეხლანდელ ომზე უსაუბრნია.

— ახალი ამბავი რა იცით, თქვენო აღმატებულებავ? უკითხავს კორესპონდენტს.

— ისეთი არაფერი, რაც თქვენც არ იცოდეთ.

— ყველანი ატყობენ, რომ ადმირალი მაკაროვი გულ-ხელ დაკრეფილი არა ზის.

— ადმირალი მაკაროვი იმნაირ ხასიათის კაცია, რომ არც შეუძლიან უსაქმოდ გაჩერება. ამ ჟამად მაკაროვი „რეტვიზანი“-სა, „ცესარევიჩი“-სა და „პალადა“-ს შეკეთებას უნდება.

— მალე შეაკეთებენ ამ გემებს?

— იმედი გვაქვს, ორის კვირის შემდეგ.

— კაპიტან რეიცენშტეინის ესკადრა იაპონელებს მოსვენებას არ აძლევს, არა?

— ჩვენის ფლოტის ორ ესკადრად განაწილება სასარგებლოა ჩვენთვის... ვლადივოსტოკის ესკადრის დანიშნულებაზე ვერას გეტყვით. ეს, რასაკვირველია, თქვენც კარგად გესმით.

— მაგის კითხვას ვერც გაგიბედავთ...რა აზრისა ხართ იაპონელების ტაქტიკაზე.

— აქამდე იაპონიის ფლოტი მეტად მხნედ იქცეოდა. ფუზანსა, ჩემულპოსა და გენზანში ჯარის გადაყვანას უწყობდა ხელსა. იაპონელებს მშვენიერი ფლოტი ჰყავთ. მიკვირს, რა სწრაფად ააშენეს ეს ფლოტი! კარგად მახსოვს ის დრო, როცა იაპონიას ერთი სამხედრო გემიც არა ჰქონდა.

— ლაოდუნის ნახევარ-კუნძულზე ჯერ ჯარი არ გადაუყვანიათ იაპონელებს?

— არა, მაგრამ უსათუოდ-კი ეცდებიან, ჩვენც კარგად დავუხვდებით.

ბოლოს მინისტრს უთქვამს: ხმელთა-შუაზღვაში რომ რუსის ესკადრა დგას, ლიბავასა და კრონშტადტში დაბრუნდებაო. („ნ. ვ.“)

ახალი ამბავი

◆ 17 მარტს მოხდა კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა, ხორცის დუქნების გამგე და ხორცის ნიხრის გამწესებელ კომისიებისა, სხდომას დაესწრო საბჭოს ზოგიერთი ხმოსანი და ადგილობრივ გაზეთების თანამშრომელნი. კრებამ განიხილა საკითხი **ხორცის ვაჭრობის გაწესრიგებისა** და თავვასულ ყასბების ალაგმვის შესახებ. წარმოითქვა სხვა-და-სხვა მოსაზრება. კამათის შემდეგ გადასაწყვეტად სამი წინადადება დაასახელეს: რა შედეგი მოსდევს ხორცის ნიხრს ბაზარში; მიაღწევს თუ არა ქალაქი მიზანს ვაჭრობის მოწესრიგების საქმეში, თუ დასტოვებს შემდეგშიაც არსებულ ნიხრს, ისე კი რომ მალ-მალ შეიცვალოს; და აქვს თუ არა ქალაქის გამგეობას იმდენი ძალა, რომ გაუმკლავდეს თავ-გასულ ვაჭრებს, თუ უმჯობესია ნიხრი მოსპოს და თავისუფალი ვაჭრობა დაწესდეს? კრებამ დაადგინა, ნება მიეცეს ყველას, ვინც ამ საქმეში დაინტერესებულია, ამ წინადადებებზე თავისი მოსაზრებანი წარუდგინოს ქალაქის გამგეობას. მასალის შეკრების შემდეგ, ნაალდგომევს, კიდევ მოხდება კრება.

◆ ტფილისის გუბერნატორმა გუშინ, 18 მარტს, შემდეგი დეპეშა მიიღო მაზრის ოფროსისაგან **გენერალ ლისოვსკის მოკვლის** შესახებ: „შევიპყარით მოჯამაგირე გენერალ ლისოვსკისა, 15 წლის ვართანა, რომელიც დღემდის იმალებოდა. ვართანა უკვე გამოტყდა და დაწვრილებით გვიამბო ყველაფერი.

◆ ინჟენერმა თავ. ი. ზ ანდრონიკაშვილმა, ნ. გ. ქართველიშვილმა, თავ. წერეთელმა და ხრეიგლიჩმა ამხანაგობა შეადგინეს და 13 მარტს ხელიც მოაწერეს ხელშეკრულობას. ამხანაგობამ უნდა გაიყვანოს შტოები **ჭიათურის უმთავრეს შტოდან** მალაროებამდე.

◆ 17 მარტს ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა წინადადება შეიტანა საბჭოს საფინანსო კომისიაში, შეუდგნენ იმ საკითხის შემუშავებას, თუ რამდენი ფული დასჭირდება ქალაქს უმთავრეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და როგორ უნდა განახორციელოს ქალაქმა ამისთვის ერთის **დიდის სესხის აღების** საქმე. ამ სესხით უნდა გამოყვანილ იქმნას წყლის მილი, გაკეთდეს დახურული ბაზარი, მოიკირწყლოს საუკეთესოდ ქუჩები, გაიმართოს საბალნეოლოგო სადგური, სანატორია და სხვა.

◆ კავკავის კადეტთა კორპუსის უფროსმა, თავად-აზნაურთა წინამძღოლის თხოვნის თანახმად, დეპეშით აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ კავკავის კორპუსში ტფილისისა და ზაქათალის **თავად-აზნაურთა შვილები** იზრდება ამ ჟამად შვიდი—ყველა პირველ კლასშია. თავისუფალი ადგილი შვიდია. მოსამზადებელი კლასი არსებობს.

◆ ამ ჟამად ქალაქის საყასბოსა და საქონლის ბაკში **ბეითალის ორი ადგილია თავისუფალი** და მთხოვნელი-კი არავინ არის. 17 მარტს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ნება დართოს სასანიტარო ინსპექტორს, თვით მიიწვიოს ვინმე აღნიშნულ თანამდებობაზე დროებით, სანამ კანდიდატები აღმოჩნდებოდნენ.

◆ ტფილისის **სამკურნალოს კუკიის განყოფილების** გამგემ, ავადმყოფობისა გამო, სამსახურს თავი დაანება. ამ ადგილზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ დანიშნა ექიმი გძელიშვილი.

◆ როგორც გავიგეთ, **ქალაქის გამგეობის მდივნად** ბ-ნ ვეიმანის ნაცვლად, რომელმაც სამსახურს თავი გაანება, ჰნიშნავენ ხმოსანს მელიქ-კარაკოზოვს.

◆ შეუძლებელ ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებას ავლაბარში აქვს სკოლა, სადაც ნასადილევს ასწავლიან. ეს სკოლა მოთავსებულია ქალაქის მესამე სკოლის სადგომში. ამ ჟამად საზოგადოების გამგეობა სწერს ქალაქს: როგორც შევიტყეთ, აღნიშნული სადგომი აღარ დაგვეთმობა, ამიტომ იძულებული გავხდებით შევსწყვიტოთ სწავლა, რადგან შეძლება არა გვაქვს სადგომი ავაშენოთ. ამიტომ, საზოგადოება სთხოვს გამგეობას დაუთმოს ისევ ხსენებულ სკოლის სადგომი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში ექიმ-ქალის თანამდებობაზე დაინიშნა ქ-ნი მუხარინსკი.

◆ ეს ორ კვირაზე მეტია, რაც ტფილისის რე ლურ სასწავლებლის მოწაფე ალ. წითლანაძე უგზ უკვლოდ დაკარგულა და მშობლები დაეძებენ. დაკარგვის წინა დღეს წითლანაძე სასწავლებლის საბჭო სკოლიდან დაითხოვა. შინ რო მოსულა, დედისთ ერთი შაური უთხოვნია, წასულა და აღარ დაბ ნებულა. ყველგან დეპეშები გაგზავნეს.

◆ კაცის მოკვლა: სოფ. აბდალოს (ახა ქალაქის მაზრა) მცხოვრებმა კამამ-ალა-ისმაილ-ალ ოღლიმ ჩხუბის დროს კეტით მოჰკლა თავისავე სო ფლელი ბალა-ალა-იბრაჰიმ-ოღლი.

— სოფ. ახკერტის (ახალქ. მაზრა) მცხოვრებ არშაკა ხალათოვმა მოჰკლა თავისი მამა სააქა ხალათოვი.

◆ ქურდობა: სოფ. კოდის (ახალქალ. მაზრა) მცხოვრებმა იოსებ კვიცაძემ და მარნეულის მე დუქნემ გიორგი გულხანოვმა სადგურ სანტარიდან (ყარსის რკინის გზა) მოიპარეს ფარჩეულობა, წონით 5 ფუთი და 15 გირ., და 1 ფუთი ჩაი.

— სოფ. ახტალაში (ბორჩ. მაზრა) მოვაჭრე იაგორა ერთიბაროვს ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა დახლი გაუტეხეს და წაიღეს ფულად—150 მანეთი, ხოლო ქალის ძვირფასი სამკაული 80 მანეთისა.

◆ ალავერდის ქარხნებთან (ბორჩალოს მაზრა თოვლის ქვეშ უპოვნიათ გვამი 1902 წლის 1 დეკემბერს უგზო-უკვლოდ დაკარგულის გლეხის ნიკოლოზ სობოლევისა.

თეატრი

ბათუმი. 12 მარტს რკინის გზის თეატრში ბავშვების თავშესაფარის სასარგებლოდ გაიმართა რუსულ ენაზე წარმოდგენა. წარმოადგინეს რაკ შანინის დრამა „ზორივ“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც მთავარ როლს ასრულებდა. ბ-ნ მესხიშვილის მშვენიერმა თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა ყველანი. როგორც კურიოზი უნდა ავღნიშნო, რომ, როცა სცენაზე პირველი მოქმედება იყო, უცებ ჩაქრა ელექტრონის ფარნები და თეატრი ბნელმა მოიცვა. ჩვენდა ბედად, თეატრის მოსამსახურეები დაფაცურდნენ და აანთეს ნავთის სანათები. შემდეგ თეატრი ისევ ელექტრონით განათდა.

მერ

დ. ლანჩხუთი. 14 მარტს აქაურ საქალ სკოლის დარბაზში გამართულ იქმნა სალიტერატ სამუსიკო დილა. მიწვეული იყვნენ მოსწავლეების მშობლები და სხვანი. ხალხი ცოტა დაესწრო. სკოლის ინსპექტორმა ბ-მა ერმანმა წაიკითხა პირველად ანგარიში სკოლის მდგომარეობის შესახ დღიდან დაარსებისა გასულ წლის დამლევამდე. მაყურებელთა დიდ უმრავლესობას ანგარიშისა, რაც ძლიერ საჭირო იყო მშობლებისათვის, არა გაუგია. არ გაუგიათ არც თვით დილისა, რადგან ყველაფერი შესრულებულ იქმნა დამსწრეთათვის გაუგებარ რუსულს ენაზე. ქართულად წაიკითხეს ორიოდე ლექსი. სიმღერებიც რუსული იყო.

დოსტი

ფელეტონი

იაპონია და იაპონელნი

V

პოლიტიკური დასები, ადმინისტრაცია, ფინანსები*)

სულ ოცდა ოთხი წელიწადია, რაც იაპონიაში პარლამენტი არსებობს და ეს დრო-კი ძალიან მცირეა მტკიცე პოლიტიკურ დასების შესამუშავებლად. იაპონიაში დღეს რამდენიმე დასია, მაგრამ არც ერთი დასის ფიზიონომია არ არის საკმაოდ გამორკვეული და ჯერ-ჯერობით არც ერთს არა აქვს სავსებით განსაზღვრული პროგრამა, ისეთი, მაგალითად, როგორიც გერმანიის ან საფრანგეთის პოლიტიკურ დასებსა აქვთ. არის იაპონიაში ლიბერალთა დასი, პროგრესისტთა, ნაციონალ-უნიონისტთა და სხვათა. უმთავრესი პირველი ორია. სამწუხაროდ, ვერც ერთ იმ წიგნში, რომელიც ხელთა გვაქვს, ვერა ვპოვეთ ამ დასების სრული პროგრამები. საზოგადოდ-კი პროგრესისტთა დასის პროგრამა უფრო დემოკრატიულ პრინციპებს შეიცავს, ვიდრე ლიბერალთა დასისა. ჩინეთის ომის შემდეგ ლიბერალები თხოულობდნენ ჯარისა და ფლოტის გადიდებას. იმათის აზრით, სახელმწიფოს უმთავრესი ყურადღება ამისთვის უნდა მიექცია და ჩინეთისაგან მისაღები კონტრიბუცია მთლად ამ საქმეზე უნდა მოეხმარა. პროგრესისტები წინააღუდგნენ ამ პროექტს და, პირიქით, თხოულობდნენ სამხედრო ხარჯის შემცირებას. ამ ჟამად ლიბერალთა მეთაურად, ლიდერად, ითვლება გრაფი იტაგაკი, ხოლო პროგრესისტთა—გრაფი ოკუმა. რა თქმა უნდა, კონსერვატიული დასი იაპონიასაცა ჰყავს. ეს დასი დღესაც ვერ შეჰრიგებია პარლამენტის არსებობას.

დასების გაძლიერებასა და განმტკიცებას, მცირე დროს გარდა, ერთმა გარემოებამაც შეუშალა ხელი. როგორც ვუწყით, იაპონიაში სამინისტრო პასუხის მგებელია იმპერატორისა და არა პარლამენტის წინაშე. ამის გამო სამინისტრო ნაკლებად დამოკიდებულია პარლამენტისა და პოლიტიკურ დასებისაგან, ხოლო ეს გარემოება ხელს უშლის ამა თუ იმ დასის გაძლიერებას. რამდენიმე წელიწადი იქმნება, რაც იაპონიაში ცხარე აგიტაცია დაიწყო. აგიტატორები თხოულობენ პარლამენტის უფლების გაფართოვებასა და მინისტრთა პასუხის მგებლობას პალატის წინაშე. უმთავრესად ამას თხოულობენ ახალგაზდა მოღვაწენი. საზოგადოდ, განხეთქილება ძველ და ახალ მოღვაწეთა, „მამებსა და შვილებს“ შორის იაპონიაშიაც დიდია. მამები არიან მესამოცე წლების მოღვაწენი, რომელთაც დაუვიწყარი და დაუფასები საქმე გააკეთეს, იაპონია ევროპის განათლების გზაზე დააყენეს და რეფორმები შემოიღეს. ის დიადი საქმე, რომელსაც შედეგად იაპონიის განახლება მოჰყვა, ამ მოღვაწეთა მოქმედების ნაყოფი იყო. ესენივე იდგნენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში პარლამენტის დაარსებამდე და დაარსების შემდეგაც თითქმის დღემდე. აი, ზოგიერთ ამ მოღვაწეთა გვარები: მარშალი იამაგატა, მარკიზი იტო, გრაფი ინუიე, მატსუკატა, ოიამა, საიგო, ოკი, კაბაიამა, კუროდა და სხვანი. პარლამენტის დაარსებამდე საქმე მთლად ამათ ხელში იყო. პარლამენტის დაარსების შემდეგაც მინისტრ-პრეზიდენტებად უმთავრესად ესენივე იყვნენ. მარკიზ იტო, მაგალითად, ოთხჯერ იყო მინისტრ-პრეზიდენტად, მარშალი იამაგატა—ორჯელ, მატსუკატა—ორჯელ და სხვა.

მაგრამ დრონი იცვალნენ, ახალმა ცხოვრებამ ახალი მოთხოვნილებანი წამოაყენა და ეს ძველი მოღვაწენიც, დიდად ნიჭიერნი და მხნენი, შეიძლება ჩამორჩნენ ცხოვრებას, რამდენიმედ მაინც. ამით აიხსნება განხეთქილება ძველსა და ახალ მოღვაწეთა შორის. ახალგაზდა მოღვაწენი პარლამენტის უფლების გარდა ბევრს სხვა თვალსაჩინო რეფორმას თხოულობენ.

იაპონიის სახელმწიფოს უმაღლესი დაწესებულებანი პარლამენტი და სამინისტროებია (წინად სახელმწიფო საბჭოც იყო, მაგრამ შემდეგ გააუქმეს). სამინისტრო სულ ათია: შინაგან საქმეთა, გარეშე საქმეთა, ფინანსთა, სამხედრო, საზღვაო, იუსტიციისა, საერო განათლებისა, მიწათ-მოქმედებისა და ვაჭრობისა, გზათა და სამეფო სახლის სამინისტრო. მინისტრთა საბჭო ცხრა კაცისაგან შესდგება, რადგან სასახლის მინისტრი საბჭოს წევრად არ ითვლება და იმის სხდომებს არ ესწრება. მინისტრთა საბჭოსთან არსებობს საიდუმლო საბჭო, რომელსაც მხოლოდ რჩევის მიცემა შეუძლიან. იგი შესდგება პრეზიდენტისა, ვიცე პრეზიდენტისა და 25 კაცისაგან, რომელთაც იმპერატორი ჰნიშნავს. არსად მინისტრებს ისე მცირე ჯამაგირი არა აქვთ, როგორც იაპონიაში. იქაური მინისტრი წელიწადში იღებს მხოლოდ 6,000 იენს (იენი ამ ჟამად თითქმის ერთ მანეთს უდრის). დეპუტატებსაც ეძლევათ ჯამაგირი, თითოს—2,000 იენი.

მთელი სახელმწიფო პრეფექტებად ანუ გუბერნიებად არის დაყოფილი (იაპონურად გუბერნიას „კენ“-ი ჰქვიან). ასეთი გუბერნია 44-ია. ამას გარდა სამი სატახტო ანუ საიმპერატორო ქალაქია—ტოკიო, კიოტო და ოსაკა—სადაც განსაკუთრებული მმართველობაა, და ორი საგენერალ-გუბერნატორო—კუნძულები ფორმოზა და იეზო. თვითეულ კენის უფროსად გუბერნატორია, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს ემორჩილება. საქმეებს გუბერნატორი განაგებს განსაკუთრებულ საბჭოს დახმარებით. ამ საბჭოს წევრებს-კი ადგილობრივი მცხოვრებნი ირჩევენ, ასე რომ გუბერნიებში ერთ ვარი თვით-მმართველობაა. ასეთი საბჭოები არსებობს მაზრის უფროსებთანაც. დიდ ქალაქებს (სადაც 25 ათას მცხოვრებზე მეტია) იაპონიაში სრული თვით-მმართველობა აქვთ, პატარა ქალაქებსა და სოფლის თემებს—შეზღუდული თვით-მმართველობა.

ქალაქის თვით-მმართველობა შესდგება სა მუნიციპალო საკრებულოსა ანუ, ჩვენებურად, საბჭოსაგან და აღმასრულებელ ორგანოებ საგან. საბჭომ უნდა განიხილოს და გად სწყვიტოს ქალაქის საქმეები. საბჭოს წევრებ მოქალაქენი ირჩევენ. ამომრჩევლად ითვლ ბა ყველა, ვინც 2 მანეთს გადასახადს იხდის. საბჭოს წევრად შეიძლება ყველა იქნას ამორჩეული, სხვა ქალაქის მცხოვრებიც-კი. საბჭოს კრებები საჯაროა. აღმასრულებელ უფლება ქალაქის თვით-მმართველობაში აქვ ქალაქის მოურავს, იმის თანაშემწეს და აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც პირვე ორსა შეელის. ქალაქის მოურავსა და თანაშემწეს ირჩევს (6 წლით) ქალაქის ბო და ამტკიცებს პირველს იმპერატო ხოლო მეორეს—გუბერნატორი. ორივე მოხელეებად ითვლებიან და ჯამაგირი ეძლევათ. ქალაქის საბჭოსა და აღმასრულებელ საბჭოს წევრებს არავითარი ჯამაგირი არ აქვთ. საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ყვე გუბერნიასა და ქალაქს საკუთარი ბიუჯ აქვს. მთელის იმპერიის საგუბერნიო შემ

---

*) იხ. „ცნ. ფურც. № 2436.

სასამართლო

I

ტფილისის ქალაქის კასის გაქურდვის საქმის შესახებ ტფილისის ოლქის სასამართლომ 17 მარტს ღამის 12 საათზე გამოაცხადა განაჩენი. სასამართლომ ბრალდებულნი ე. ზევგოლი, სიმონ ოთხმეზური, მაკაროვი, ს. პანჩენკო, ი. პერელიგინი, სოფიო ერესლავსკი და ნეოფიტე ხუნდაძე უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა. დანარჩენ ბრალდებულთაგან ოლქის სასამართლომ ხაიმ ბოიმებლიტი და გ. ბე-[illegible]ლავსკი დამნაშავედ იცნო „მაშენიკობისთვის“, ხოლო გ. ჩერნიკოვი, ი. გერმანი, ა. პანდული, კ. პანჩენკო და ის. პუზანოვი გამოუსადეგარ და გაბათილებულ ობლიგაციების გასყიდვა-დაგირავებისათვის და გადაუწყვიტა პირველს ოთხს ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და საპყრობილეში 8 თვით დაპატიმრება, ხოლო ა. პანდელს 2-სა და დანარჩენთ 1½ თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

II

შაბათს, 20 მარტისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ოზურგეთის მცხოვრებთა ივანე თოთიბაძისა, რაჟდენ ცეცხლაძისა, სოფელ აკეთის მცხოვრების ირაკლი თოიძისა, გრიგოლ მამულაიშვილისა და ილია თოხაძისა, ნიკოლოზ სალუქვაძისა და ტფილისის მოქალაქის ოჰანეზ ტერ-ვართანიანცისა. პირველ ექვსს ჰბრალდებათ მარტყოფის მონასტერზე თავდასხმა და იქ მყოფთა გაძარცვა, ხოლო თანარჩენთ—სალუქვაძესა და ტერ-ვართანიანცს—მოპარულ ნივთების დამალვა. გარდა ამისა თოხაძესა, მამულაიშვილსა და თოიძეს ზედაზნის მონასტერზე თავდასხმაც ჰბრალდებათ.

წერილი სოხუმიდან

ნოქართა აუტანელი მდგომარეობა.

ყველგან ასე თუ ისე ეშველათ, ყველგან ცოტათი მაინც გაუმჯობესდა ნოქართა მდგომარეობა. ზოგან, როგორც, მაგალითად, ბათუმსა და ტფილისში, განსაზღვრულია მათი სამუშაო დღე. მუშაობის შემდეგაც სრული თავისუფლება აძლევთ ამ ტვირთმძიმე მუშაკთ, სად და როგორც უნდათ, ისე მოიხმარონ დანარჩენი დრო, თუ კი კიდევ შერჩათ ცოტაოდენი ძალა და ხალისი. ქუთაისის ნოქრები კი, როგორც გაზეთების უკანასკნელ ნომრები მოგვითხრობენ, კვირა-უქმე დღეებში მთელი დღე თავისუფალნი არიან. ჩვენს სოხუმელ ნოქრებს არაფერი ეშველათ: ისინი ძველებურად და ჩვეულებრივად თავის მდგომარეობის მძიმე უღელს ეწევიან უხმოდ, უსიტყვოდ. დავიწყოთ თუ გინდ იქიდან, რომ აქაურს ნოქარს ჭამა სმაშიაც თავისუფლება დაუკარგავს: ნება არ აქვს ისა სჭამოს და სვას, რაც მას მოესურვება, არამედ ის უნდა მიირთვას, რაც ბატონს „ხაზეინს“ უნდა. საქმე ის არის, რომ ერთის თუ ორის ფირმის გარდა სოხუმელს ვაჭრებს თავისს ხარჯზე ჰყავთ ნოქრები: საჭმელ-სასმელს თვითონვე აძლევენ და, ალბად, საკმაოდ ძვირად ასაღებენ. ეს ერთი. მეორე უკუღმართობაც ის არის, რომ საჭმელ-სასმელთან ერთად „ადა“ თავისს ნოქარს ბინასაც აძლევს. ვინ პირშავი იტყოდა საყვედურს ამის შესახებ, რომ ეს „ვითომდა ბინები“ მართლა ბინებს ჰგვანდნენ. აი, მაგალითად, ერთ-ერთ საუკეთესო ფირმის ნოქრების ბინა: შუა ბაზარში საკმაოდ მოზრდილი შენობაა,—ქვევით გაჩაღებულია რესტორანი, ანუ უკეთ ბუნაკი ყოველგვარ საეჭვო კაცებისა. კუთხეში რაღაცა ვითომ და სამუსიკო იარაღია, რომელიც თუ ერთხელ აწყვე, მთელი დღე განუწყვეტლივ წრიპინებს და წრიპინებს და მით მთვრალ ხალხს თავს ურის რესტორანის პატრონის გულის გასახარად. ღვინით, უფრო კი არაყით გალეშილი ხალხი სად და რომელ კუთხეში გინდა უგრძნობლად არ ეყაროს. ამ „ბუნაკის“ უკან ოთახებია მიუდგომელი. რომელსაც ნომერს უწოდებენ. ერთ-ერთ ამ ნომერთაგანში სცხოვრობს ათი თუ თერთმეტი ნოქარი. ეს ოთახი გრძელი და ვიწროა, მზის შუქი იქ არასოდეს არ შეასტანს. კრაოტები (ნოქრების საკუთრება) ერთი-ერთმანეთზედ ისეა მიკრული, რომ მათ შუა კაცი ძლივს თუ გაატანს. ერთ კუთხეში პირსაბანია და მეორეში პატარა მაგიდა. ამ სადგომის დანარჩენი ნომრები სულ საეჭვო ყოფა-ქცევის ხალხითაა სავსე;—უზნეო ქალებიც ბლომად არიან. უწმაწური სიტყვა-პასუხი, გინება და სხვა ამგვარი საქციელი მათი განუშორებელია. მე სამი „ბინა“ დავათვალიერე, სამივე ამაზედ უარესი იყო და რა გასაკვირველია, თუ ამისთანა ატმოსფერაში ჩაყენებული ახალგაზდა კაცი სულიერ-ხორციელად დაეცეს გათახსირდეს, გაიხრწნეს, მთელ ღამეებს სხვა-და-სხვა ქალებთანა და არფიანკებთან და ბანქოს თამაშში ატარებდეს, თავის-თავის და მშობლების, ვინ იცის თუ როგორ გაჭირვებულ მშობლების, ურგები გახდეს,—ასეთიცაა უმეტესობა. ისინი ისე დაუჩაგრავს თავისს მდგომარეობას, რომ „ადის“ ხელიდან თავის დახწევა თუ შეიძლება არც კი იციან, იმისი ნამდვილი უხმო, უსიტყვო ყმაა. „ხაზეინს“ მეტი არც კი უნდა.—რაც შეეხება თავისუფალ დროს, აქაურ ნოქარს სრულიად არა აქვს. მართალია, კვირაობით სოხუმში დუქნები თითქმის დაკეტილია, გარნა იმ ორიოდე საათში, როცა ეს უკანასკნელი ღიაა, იმდენი ხალხი აწყდება, რომ საქონელი აერევ დაერევათ ხოლმე. გაისმა „სვისტოკი“, მაღაზიები დაიკეტა, აინთო შიგ ლამპები და ნოქრებს გაუჩნდათ მუშაობა, რომელიც, როგორც თვით ნოქრებმა ამიხსნეს, ხან-და-ხან შუაღამემდისაც გასტანს ხოლმე. „ასე რომ სრულებით თავისუფალი დრო არა გვაქვსო“, შემომჩივლეს ნოქრებმა. ერთი გასაკვირველი ტაქტიკაც შემოუღიათ სოხუმელ ვაჭრებს: ვისაც არ ჰკითხე, ვერც ერთმა ნოქარმა ვერ მითხრა, თუ რა „ჯამაგირი“ ეძლევა მისს ამხანაგებს. თუ რისთვის და რად ხმარობენ ჩვენი „ხაზეინები“ ამ ხერხს, ვერ აგიხსნით, მკითხველო.

სოხუმელი

წერილი დუშეთიდან

ტალახი ჩვენს ქალაქში.—ხორცის დუქანი

მოვიდა მარტი და თან მოჰყვა ავდარიც. დილიდან საღამომდე ამინდი ათას ნაირად იცვლება, რის გამოც მუხლამდის სათქვეფი ტალახია ქუჩებში. ქუჩები ძალიან ნაკლებად არის განათებული და ამის გამო ისეთი სიბნელეა ხოლმე ღამე ქალაქში, რომ სააქაო ჯოჯოხეთს მოგაგონებთ. თუ ღამე სახლიდან სხვაგან წავა ვინმე და თან ხელის ფანარს არ წაიღებს, უეჭველია ვიდრე დანიშნულ ადგილამდის მივა, ყელამდის ტალახში ამოისვრება და ფეხსაცმელებიც (უფრო ხშირად კალოშები) სადმე ტალახში ჩარჩება, ასეა ჩვენი ქუჩების სავალალო მდგომარეობა, ესეც-კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ღამე დუშეთის ქუჩებში მოსიარულეს ძალიან იშვიათად შეჰხვდებით: რაკი დაბინდდება, გარედ ველარავის ნახავთ, ყველანი სახლში არიან დაბინავებულნი და მთელი ქალაქი სამარის სიჩუმით არის მოცული, უთუოთ ამიტომაც ქალაქის განათებისა და ქუჩების სისუფთავისთვის თითქმის არავინ ზრუნავს. დუშეთში ერთად-ერთი ხორცის დუქანია. ამ დუქნის ხელშია აქაურ მცხოვრების მადის ბედ-იღბალი, თუ უნდა დაჰკლავს საკლავს, და თუ არა და—თავის ნება არ არის, ვინ დაასტანს ძალას. მარხვაში რადგან ცოტა მუშტარი ჰყავს, ხშირად დუქანში ხორცი არ მოიძებნება ხოლმე, ასე რომ დუშეთში ავადმყოფს ექიმისგან აკრძალული რომ ჰქონდეს მარხვის საჭმელის ჭამა, აქაურ ყასბის წყალობით უნდა ძალა უნებურად დაარღვიოს ექიმის სასტიკი განკარგულება. ეხლა-კი ხანდახან დუქანში ისეთი ხორცია, რომ იმის ჭამას უჭმელობა სჯობია. თუ როგორმე გაბედე და ხორცი დაუწუნე, მაშინათვე იმას გეტყვიან, „მაგაზე უკეთესი არ გვხლავთ და სადაც გინდათ, იქ მიბრძანდითო“. დუშეთის მაზრის უფროსის მეუღლის მეთაურობით შესდგა მანდილოსანთა წრე, რომელიც შეუდგა ფულის შეკრებას დაჭრილ მეომართათვის საცვლების მოსამზადებლად.

დუშმანი

წერილი ფოთიდან

სკოლის ახალი შენობა.—ყვავილი

10 მარტს ქალაქის გამგეობამ საგანგებო კომისიისა და ინჟინერის არციმოვიჩის შემოწმების შემდეგ ჩაიბარა ქალაქის სკოლის ამშენებელ მოიჯარადრეს ალ. პრავედნიკოვისაგან ახლად დამთავრებული სკოლის ორ-სართულიანი ქვის შენობა. ეს ახალი შენობა, რომელიც მთელ ქალაქს ამკობს, აგებულია იმ ადგილას, სადაც სკოლის სამეურნეო განყოფილება [illegible]. ამ შენობის აგება ქალაქს იჯარით ჰქონდა გაცემული 68.000 მანეთად, მაგრამ, რადგან შემდეგ გეგმა რამდენიმეთ შეიცვალა, ამისათვის ქალაქმა დამატებითი ხარჯის დასაფარავად მოიჯარადრეს 6000 მანეთამდის უნდა მიუმატოს. ასე რომ შენობა სულ ქალაქს 74.000 მანეთად დაუჯდება.

სრული ერთი თვე იქნება, რაც ქალაქში ყვავილი მძვინვარებს. ამ გადამდებმა სენმა, რომელსაც აქაურები „ბატონებს“ ეძახიან, აქ კარგი სამკალი ნახა. დღეს-დღეობით ყვავილი 17 ოჯახში მძვინვარებს, სადაც ყვავილით ავადმყოფი 24 სულია. კვირა ისე არ გაივლის, რომ ყვავილმა ერთი სული არ იმსხვერპლოს. საუბედუროდ, ამ ჟამად ქალაქის ექიმიც ავადაა და სენთან ბრძოლა მხოლოდ ქალაქის ფერშალს ჰხვდა წილად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხალხი ამ ჩვენ ქალაქშიაც ისე უყურებს და უბოდიშებს ამ სენს, როგორც სოფლელი.

ი. იანეთელი

წერილი კახეთიდან

ამინდები.—მუშა და დღიური ფასი.—გადასახადი და ტყის მცველების თავ-გასულობა.

ჩვენსკენ ჯერ-ჯერობით კარგი ამინდებია, ხან თბილა და ხანაც ჟუჟუნა, ყველას გამაცოცხლებელი წვიმებია. გლეხობაც სარგებლობს შემთხვევით და არ აცდენს თავის მოუცლელს მარჯვენას. სულ მუშაობს და მუშაობს. შინაურს საქმეს დაუმთავრებს ხელი და ახლა საუფლისწულო მამულებში და მემამულეებთან მიდიან დღიურ სამუშაოზე. დღეში იღებენ 50 კაპ. თავის ხარჯით. ფასი მცირეა, მაგრამ რა ჰქნას, რით უნდა გაუძლეს სახელმწიფო გადასახადს, მღვდელს და სხვებს. წლიურად ერთი კომლი მღვდლის დასაკმაყოფილებლად იხდის ერთს კოდ პურს, 5 ლიტრა ქერს და ერთ თუნგიდან ერთ ჩაფამდის ღვინოს. სოფლის მწერლის ჯამაგირიც თანდათან მაღლა იწევს. ზოგს ეხლა 400 მანეთი გაუხადეს. ზოგგან საავადმყოფოს გადასახადი, ტყის მცველების დაკმაყოფილება, მანდვრისა და ვენახების მევლეების ჯამაგირი, დალაქი, გზირი, მნათე, ხარჯის ამკრები, სადრის ყარაული, სოფლის 2-3 ყარაული... ამას ზედ დაუმატეთ ძველი ნისიები და ვალები დიდ ბრჭყალებიან ჩარჩ-მოვაჭრეებისა და მერე იანგარიშეთ, წელიწადში რამდენმა პირმა უნდა დაუწიოკოს ცოლ-შვილი კახელ გლეხ-კაცს. მოდი და დღე მუდამ ნუ იმუშავებს! ამასთან გახშირებულია: ქურდობა, მაბეზღრობა, ცრუ-მოწმობა, ლოთობა, ძალ-მომრეობა, გადაწვა და სხვა ავ-კაცობა. ყველაზე მეტი უბედურება კიდევ სოფ. შილდისა, ენისლისა, ფაშაანისა და ამ უკანასკნელისთა-

---

სავალი 1900 წელს იყო 46,039,190 იენი. ამ ფულს აწერს, ჰკრებავს და ჰხარჯავს ადგილობრივი მთავრობა—გუბერნატორი და ხალხის მიერ არჩეული საბჭო. ფული იხარჯება სწავლა-განათლებასა, საზოგადო სამუშაოებსა, პოლიციასა და სხვა საჭიროებაზე. ქალაქებსაც საკუთარი შემოსავალი და ხარჯი აქვთ. ყველა ქალაქების შემოსავალი ხსენებულ წელს იყო 45,896,945 იენი.

ამ ჟამად მთელს იმპერიაში სახელმწიფო, ქალაქისა და სოფლის მოხელეთა და პოლიციის რიცხვი უდრის 264,597 კაცს.

როგორც ყოველივე სხვა, იაპონიის ბიუჯეტიც ხელად გადიდდა და გაიზარდა. არც გასაკვირველია: ძველ ფეოდალურ წყობილების მოსპობასა და ახალ ცხოვრების დამყარებასთან ერთად გაიზარდა სახელმწიფო მოთხოვნილებაც. წინად მთავრობა მაგდენად არა ზრუნავდა არც ფლოტისა და ჯარისათვის, არც სწავლა-განათლებისათვის, არც სასამართლოებისა და სატუსაღოებისთვის და არც მოხელე ჰყავდა იმდენი, რამდენიც ეხლა ჰყავს. იაპონიის ახალი ისტორიაში ორი ხანაა. ერთი ჩინეთის ომამდის (1895 წლამდე), როდესაც სახელმწიფო ეწყობოდა და შინადან გარედ არ გამოდიოდა, და მეორე—ჩინეთის ომის შემდეგ, როდესაც იაპონიამ გარეშე სახელმწიფოებს ყურადღება მიაქცია და დასასახლებლად ახალ მიწაწყლის შეძენა მოისურვა. 1895 წლამდე იაპონიის როლი მცირე და უმნიშვნელო იყო. ამ წლიდან კი ძლიერდება ფლოტი, ჯარი და ამასთან ერთად საოცარის სისწრაფით იზრდებიან ეკონომიურნი ძალნი სახელმწიფოსი. ყველა ამას ბიუჯეტის გადიდება მოჰყვა. აი, ამას დამამტკიცებელი რამოდენიმე ციფირი. 1894 წელს, ე. ი. ომამდე, ადმინისტრაციაზე იაპონიამ დახარჯა 54½ მილიონი იენი, 1901 წელს კი—125½ მილიონი; ჯარსა და ფლოტზე 1894 წელს დახარჯა 10½ მილიონი, ხოლო 1901 წელს—94 მილიონი; სახელმწიფო ვალის სარგებელი პირველ წელს გადაიხადა 19½ მილიონი, მეორე წელს კი 35 მილიონი იენი.

ბიუჯეტის გადიდება ომის შემდეგ აიხსნება იმით, რომ იაპონიის სახელმწიფო მოღვაწეებმა განიზრახეს განსაკუთრებულ პროგრამის განხორციელება. ამ პროგრამით უნდა გაედიდებინათ ფლოტი და ჯარი (აეგოთ ციხეები, ეყიდნათ ახალი გემები და სხვა), გაეყვანათ ახალი რკინის გზები, ტელეგრაფები, ტელეფონები, დაეარსებინათ იაპონიის სამრეწველო ბანკი და ისეთი დაწესებულებანი, რომელიც ხელს შეუწყობდა მიწათმოქმედებისა და ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებას. ყველა ამაზე ყოველ წლიურ ბიუჯეტს გარეშე უნდა დახარჯულიყო თითქმის ნახევარი მილიარდი იენი. მაგრამ პირველი განზრახვა ვერ განახორციელეს და პროგრამა მხოლოდ სანახევროდ შეასრულეს; ამიტომ ხარჯიც ნახევარ მილიარდის ნაცვლად 250 მილიონამდე იყო. მაგრამ ამ ფულმაც საკმაოდ გაადიდა სახელმწიფოს ბიუჯეტი. სამაგიეროდ დღევანდელი ძლიერი ფლოტი იაპონიისა, ახალი ზარბაზნები ხმელეთსა და გემებზე, რკინის გზები და სხვა ამ შრომისა და ფულის ნაყოფია.

სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის გასაცნობად საკმაოა ავიღოთ 1901—1902 წლის ბიუჯეტი. ამ წელს იყო::

შემოსავალი	254,519,515 იენი
ხარჯი . . . . , .	253,933,420 „

როგორც ვიცით, ყველგან სახელმწიფოს შემოსავალი და ხარჯი ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივია. საანგარიშო წელს ჩვეულებრივი შემოსავალი იყო 201,160,469 იენი, არა ჩვეულებრივი—53,359,046. ჩვეულებრივი შემოსავალი სდგება: გადასახადისა (უმთავრესია), სახელმწიფოს წარმოებისა (предпріятіе) და საგერბო და საშტემპელო შემოსავლისაგან.

უმთავრესი მუხლები გადასახადისა:

გადასახადი საკეზე (ბრინჯის არაყია)	55,001,923 იენი.
„ საადგილ-მამულო . .	46,561,082 „
„ სადამღო	6,142,517 „
„ შემოსავლისა(ПОДОХОД.).	5,618,255 „

უმთავრესი მუხლები სახელმწიფოს წარმოებისა:

ფოსტა და ტელეგრაფი . .	24,665,364 იენი.
თამბაქოს მონოპოლია . . .	9,542,588 „
რკინის გზები	7,317,331 „
ტყეები	2,335,713 „
ტუსაღების მუშაობა . . .	1,386,872 „
საერო სტამბა	181,319 „ და სხ.

არა ჩვეულებრივი შემოსავალი შესდგა: სახელმწიფო სესხისა—29½ მილ., სამხედრო კონტრიბუციისა—19½ მილ., სახელმწიფო ქონების გაყიდვა და სხვა წყაროებისაგან. ათის წლის განმავლობაში სახელმწიფოს შემოსავალმა ერთი-ორად იმატა: 1892 წელს შემოსავალი იყო 101½ მილიონი, ხოლო 1902 წელს—254½ მილიონი იენი.

ხარჯი ასეა განაწილებული:

ფინანსთა	სამინისტროს .	53,440,000 იენი
გზათა	„ . . .	50,780,000 „
სამხედრო	„ . . .	50,110,000 „
საზღვაო	„ . . .	38,320,000 „
შინაგან საქმეთა	„ . . .	22,750,000 „
იუსტიციისა	„ . . .	11,920,000 „
მიწ-მოქ. და ვაჭრობისა	„ . . .	10,700,000 „
სწავლა-განათლებისა	„ . . .	6,510,000 „
გარეშე საქმეთა	„ . . .	2,680,000 „
სამეფო გვარეულობას	. . .	3,000,000 „

ხარჯი ათის წლის განმავლობაში ერთი სამად გადიდდა. 1892 წელს იყო 76½ მილიონი, ხოლო 1902 წელს—253 მილიონი იენი.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ზემოდ მოყვანილ ანგარიშებში არ არის ჩათვლილი შემოსავალ-გასავალი არც გუბერნიებისა (უკვე ვთქვით, რომ გუბერნიებს განსაკუთრებული ბიუჯეტები აქვთ), არც თემებისა და არც ახალშენებისა—კუნძულების ფორმოზასი და იეზოსი.

საადგილ-მამულო გადასახადი ერთი უმთავრესი წყაროა შემოსავლისა. პარლამენტს ყოველთვის საგონებელში აქვს ეს წყარო. იგი იმ თავით ამ თავამდე სცდილობს ამ გადასახადის შემცირებას და რამდენჯერმე შეამცირეს კიდეც. შემოსავლის გადასახადი (ПОДОХОД). მთავრობამ შემოიღო 1887 წელს. ეს გადასახადი პროგრესიულია.

სახელმწიფო ვალი იაპონიისა 1903 წელს იყო 500,700,649 მილიონი იენი.

როგორც ზემოდ მოყვანილ ცნობებიდანა სჩანს, აღნიშნული ხარჯი 50 მილ. მცხოვრებიან სახელმწიფოსთვის მცირეა. თუ ამ ხარჯს მცხოვრებლებზე გავანაწილებთ, გამოვა, რომ იაპონელი შვიდჯერ და რვაჯერ უფრო ნაკლებ ხარჯს ეწევა სახელმწიფოსთვის, ვიდრე ევროპის მცხოვრები—ფრანგი, რუსი, ინგლისელი, გერმანელი და სხვა. სამაგიეროდ, მცოდნე კაცები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იაპონელნი ხარჯის გამღებნი უფრო ღარიბნი და ხელმოკლენი არიან, ვიდრე, ევროპიელნი—ინგლისელნი, ფრანგნი, გერმანელნი, იტალიელნი.

დასასრულ, ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე მოსაწყენ ციფირებისთვის, რომლითაც ეს ფელეტონია აჭრელებული, მაგრამ ვისაც იაპონიის ყოფა-ცხოვრებისა და ვითარების გაცნობა უნდა, უციფირებოდ ბევრს ვერას გაიგებს.

ი. ა—ძე

(შემდეგი იქნება)

ნა სოფლის მცხოვრებთათვის აი რა არის: თუ სახნავ მიწასა ან ვენახის სანაპიროში რისამე ხე უდგათ თავის შვილივით გაზრდილი, იმისი მოჭრის ან დაკაფვის ნება აღარა აქვთ აქაურის, ე. ი., შინაურ „აბეშჩიკების“ წყალობით. „აბეშჩიკმა“ უნდა ტყის გამგისაგან ნებართვა აიღოს და ისე მოსჭრან და დაკაფონ ხე, რომელიც მისი საკუთრებაა. აი, ამაში უნდა გლეხმკაცმა კიდევ დახარჯოს 3-4-5 მანეთი და მეტიც და თავის მეველეებით გაუმასპინძლდეს კიდეც. თუ არა და, ნება არა აქვს, წადი და იჩივლე! ყველამ ვიცით, რომ ვერსად წავა. მამულის გადასახადიც უნდა იხადოს და, რაც მოიყვანოს, ისიც. ამას იქით ეს ვაჟბატონები უბაჟოდ ვაზსაც აღარ გაასხლევინებენ. ღმერთმა დაიფაროს, რომ ესევე აღაზნის მეორე მხარესაც შემოიღონ! საზოგადოდ ანა-ბანის მცოდნე ვაჟბატონები არაფერსა ჰზოგავენ თავიანთსავე მოძმეების დასაჩაგრავად. —ძე

დაბა-სოფლები

სოფელი მუხურა (იმერეთი). ამბობენ, სიტყვა „მუხურო“ მეგრულია და ნიშნავს მივარდნილ კუთხესაო. თუ ეს მართალია, სახელი ზედ გამოჭრილი ყოფილა ჩვენ სოფელზე. მართლა და ეს ჩვენი პატარა სოფელი მიკუნჭულია მთასა და გორებში. ვაკე ადგილი აქ იშვიათად მოიპოვება. ამის გამო აქაური წვიმის წყალი მიწის ნაყოფიერ ნიადაგს ჰრეცხს და მდინარეებს ატანს ქვევით. აქამდის მუხურა ტყით იყო სახელგანთქმული, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ხალხი შესამჩნევად დაღარიბდა, ტყეც გაჰკაფეს და თითქმის მუქთად გაჰყიდეს შეშად, „შპალად“ და საბოჭკე ყავრად. ამ რამდენისამე ხნის წინად აქაურმა მემამულემ ალექსანდრე ზუბალაშვილმა გლეხებს გამოუცხადა, თავს დაგახსნევინებთ, თუ საჭირო სანხას ამა და ამ ბანკში ამა და ვადაზე შეიტანთ ჩემს სახელზე და ამასთანავე ნახევარ მთას, ნახევარ საბალახეს და ნახევარ მადანს, რომელიც შეიძლება მომავალში აღმოჩნდეს მუხურაში, მე დამითმობთო. მცხოვრებლები, რასაკვირველია, დასთანხმდნენ ამ წინადადებას, თითქმის ყველამ ისესხეს ფული და დანიშნულ ვადაზე შეიტანეს ბანკში. მერმე დასწერეს პირობა და წარადგინეს დასამტკიცებლად სადაც ჯერ იყო. მაგრამ, წარმოიდგინეთ საზოგადო გაოცება, როდესაც მთავრობამ ზიარი მამული აღარ დაამტკიცა და პირობა ძალაში შეუსვლელი დარჩა. გლეხები აქეთ ეცნენ, იქით, ზოგმა ბანკიდან თავისი ფული უკან წამოიღო, აქეთ-იქით მიფლანგ-მოფლანგა და თვითონ დავალიანებული ისევ დროებით ვალდებულად დარჩა, ზოგმა ადგილიც მიატოვა, ფულიც და სულ აიყარა, ხოლო ზოგი საჩივარს შეუდგა, რომელიც ჯერეც არ გათავებულა და რომელმაც ჯერ ისედაც გაღარიბებული გლეხები სამუდამოდ გაალატაკა და მთლად ჩაუგდო ხელში სოფლის აბლაკატებს. ამ უკანასკნელებმაც შეიგნეს, მუხურა ჰმულაო და კიდევაც სჭამენ. ხალხი მეტ ნაწილად ყრუ და გაუნათლებელია. **ემანუილ**

სოფ. ნებითი-ქრისტიანი (ოსეთი). ამასწინად ამ სოფელში ყრილობა მოხდა, რომლის დროსაც სოფელმა გადასდო წითელის ჯვრის სასარგებლოდ 170 მ. ფულად და კომლზე თითო „მერკა“ სიმინდი (1000 კომლია). ამ სოფლის მასწავლებლებმა (ამ სოფელში ცამეტი მასწავლებელია) თავიანთ ჯამაგირიდან 2 პროცენტი და სკოლების მოწაფეებმა (900 მოწაფეა) თითო შაური, ზოგმა ორიც.

ნებითი-ქრისტიანზე ხუთი-ექვსი ვერსის მანძილზე თუღანოვების მამულში გადმოსახლდა რუსეთიდან თითქმის 300 კომლამდის გლეხი. ამ გლეხების საჩივრის გამო, რომ ქურდები გვაწუხებენო, ადმინისტრაციამ სოფლიდან ნებითი-ქრისტიანის ყოველ ღამე თხუთმეტი კაცი დაუყენა ყარაულად. ნებითი-ქრისტიანის სოფლელებმა შუამდგომლობა აღძრეს: სხვა ახლომახლო სოფლელებსაც დაავალეთ ყარაულობაო.

ქართველი ოსებში

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი

ადესა. გემი „მალაია“ ერთის დღით შეაჩერეს სტამბოლში კარანტინის მოსახდელად. ადესა სრულებით მზად არის ჩემულპოს გმირების მისაღებად. ის ადგილი, სადაც დეპუტაციები უნდა მიეგებნენ, თაღითა და საზღვაო ნიშნებითა მორთულია. ზღვათა მინისტრმა ნება დართო ორის დღით დარჩნენ ადესაში მეზღვაურნი. აფიცრებისათვის ბინა საუკეთესო სასტუმროებშია დამზადებული. სამხედრო უწყება და ქალაქი სადილებს ამზადებენ.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). პარლამენტის დადგენილებაში ნათქვამია: „რუსეთის წინააღმდეგ იმპერატორის მხრით ომის გამოცხადება სამართლიანი და პატიოსანია და გამოწვეულია იმ სურვილით, რომ აღმოსავლეთ-აზიაში მშვიდობიანობა მტკიცე ნიადაგზე იქმნეს დამყარებული. ყველა ქვეშევრდომი ყოველსავე ძალას იხმარს, რომ იმპერატორის სურვილის განხორციელებისათვის თავისი მოვალეობა შეასრულოს. პალატა უერთდება ხალხის პატრიოტულ გრძნობათა და მთავრობას ნება დართო იმ ფულის დახარჯვისა, რომელსაც თხოულობდა, ასე რომ ომის მოთხოვნილებანი სრულებით უზრუნველყოფილნი იქმნება. თუმცა ჩვენმა ფლოტმა დიდ გამარჯვებამდე მიაღწია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომი ეს-ეს არის დაიწყო, და წინ-და-წინ თქმა ძნელია, როდის უნდა იქმნეს აღდგენილი მშვიდობიანობა. ამიტომაც პალატა სავსებით მზად არის შემდეგშიაც ყოველივე საშუალება გამოიღოს ომის გაგრძელებისათვის“.

ბერლინი. როგორც ტოკიოდან იტყობინებიან, კორეის გარნიზონის ორი საუკეთესო ჯარის-კაცების ბატალიონი პენიანში აჯანყებულა, როცა ბრძანება მისვლია ჩრდილო საზღვრებისაკენ წადითო. ბევრი ჯარის-კაცი სამსახურიდანაც გაქცეულა.

ტოკიო („რეიტ. საგ.“). რაც პალატამ საფინანსო კანონ პროექტები მიიღო, თითქმის სრულებით შეიცავენ კაბინეტის მიერ წარმოდგენილ რეფორმათა პროგრამას, თუმცა ბევრგან შეიცვალა ეს პროგრამა. განსაკუთრებულ გადასახადების შემოღებით მოსალოდნელი წლიური შემოსავალის, 68 მილიონ იენის მაგიერ, 62 მილ. მიღებული. ამ შემცირების გამო მოსალოდნელი დეფიციტის შესავსებლად მთავრობამ ურჩია, შევამციროთ ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებიო. სხვაფრივ საფინანსო პროგრამა იმით შეიცვალა, რომ მარილზე მონოპოლიის შემოღების შესახებ პროექტი უარჰყვეს. მიიღეს პროექტი, რომლითაც ბანკებს ნება ეძლევათ, მხოლოდ ერთის წლის განმავლობაში შემოიღონ მომგებიანი ობლიგაციები 30 მილიონ იენისა. გადასახადების შესახებ ცვლილებანი ექვსის თვის შემდეგ შევლენ ძალაში. თამბაქოზე მონოპოლიას მიიღებენ. მექარხნეებს ზარალს აღუდგენენ უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში შემოსულ მოგების ანგარიშის კვალობაზე.

პეტერბურგი. მთავარ შტაბის უფროსობა დროებით უმაღლესად დაავალეს გენერალ-ლეიტენანტს ფროლოვს.

ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად კეთილ ინება ფინლიანდიის სენატის შუამდგომლობის დამტკიცება და უმაღლესად ბრძანა: იმ ერთ მილიონ მარკიდან, რომელიც სენატმა უმაღლეს განკარგულებას მიანდო სამხედრო საჭიროებისათვის, 800 ათასი მარკა სამხედრო ფლოტის გაძლიერებას მოხმარდეს, 100 ათასი მარკა კი წითელი ჯვრის საზოგადოებისა და დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მზრუნველ საზოგადოებას ფინლიანდიაში გადაეცესო.

სეული („რეიტ. სააგ“). იაპონიის მოწინავე რაზმმა ხაიჩჯუ ნავთ-სადგური დაიჭირა, რომელიც ანჩჟუდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მდებარეობს.

ჩიფუ („რეიტ. სააგ.“). ადმირალმა მაკაროვმა გამოაცხადა: ყოველი სამხედრო და სავაჭრო გემი, რომელიც იმ ფარგალში შემოვა, სადაც ომი ხდება, ღამით უსინათლოდ და დღისით უბაირაღოდ, მტრისად ჩაითვლება, თუ პირველსავე გაფრთხილების სროლაზე არ გაჩერდა.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). საფრანგეთის ელჩის პირით რუსეთის მთავრობამ პროტესტი გამოაცხადა იმის გამო, რომ პორტ-არტურზე იერიშის მიტანის დროს სანშანდაოის კუნძულზე კარანტინის სადგური დაანგრიეს. პროტესტი ჰააგის კონფერენციის მე-25 მუხლის ძალითაა გამოცხადებული. გარეშე საქმეთა მინისტრმა ბარონ კომურამ ამაზე უპასუხა, რომ ადმირალ ტოგოსაგან ზემო აღნიშნულ სადგურის დანგრევის შესახებ მოხსენება არ მიგვიღია და ნაჩვენები მუხლიც მხოლოდ ხმელეთზე ომობას შეეხებაო.

ტომსკი. აქაურ უნივერსიტეტის მოსწავლე ქალებმა და ვაჟებმა, რომელნიც ავადმყოფებისა და დაჭრილების მოვლას სწავლობენ, სთხოვენ წითელი ჯვრის მთავარ გამგეობასა იაპონიაში გაგვგზავნეთ, რომ იქ ავადმყოფსა და დაჭრილ რუსებს მოვუაროთო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

18 მარტი.

შანჰაი. მიღებულ ცნობების თანახმად, იაპონელებს აზრად აქვთ, ხიროსიმეში თავმოყრილი ასი ათას რიცხოვანი ჯარი ინკოუში გადაიყვანონ, თუ ვინიცობაა, მოახერხეს რუსეთის ფლოტის პორტ-არტურში ჩაკეტვა ან განადგურება. მეორე კორპუსის გაგზავნას აპირებენ ჩრდილოეთ კორეაში.

სეული. ჩიონჩუსთან ბრძოლის დროს, მიუხედავად იმისა, რომ იაპონელები მეტი იყვნენ, რუსებმა პოზიციაზე რამდენიმე საათს გამაგრდნენ. მამაცურად იბრძოდნენ და შემდეგ მწყობრად ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ.

ლონდონი. როგორც ხმა დადის, იაპონელებს იმედი აქვთ ერთის კვირის შემდეგ ნიუ ჩუანი ხმელეთიდან დაიპყრან.

„დეილი მეილ“-ს ატყობინებენ სეულიდან, კორეის მცხოვრებნი ძლიერ გაჭირვებულნი არიანო. იაპონიის ცენზურა კერძო წერილებსაც სინჯავს.

დეპეშით იტყობინებიან, იაპონელებმა მდინარე ჩანგ-ჩონაგიდან სამხრეთით ანჩუსაკენ დაიწიეს. მოკლულია 53 იაპონელი, რომელნიც ჩასაფრებულნი იყვნენ მდინარის მახლობლად.

გემ „ტელორიგავამარო“-ს მგზავრები ამბობენ, ხანხინში აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელსაც აზრად ჰქონია კორეის იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდება და კორეიიდან იაპონელების განდევნა.

„სტანდარტ“-ს ატყობინებენ შანჰაიდან: კერძო ცნობების თანახმად, მიკადო ემზადება კორეიას წავიდეს ჯარის მთავარ შტაბის სადგომში.

„დეილი ექსპრეს“-ს ატყობინებენ, იაპონიის ცენზურა სასაცილო ამბებს სჩადისო. ტოკიოში მყოფ სამხედრო კორესპონდენტებს ყურადღების სადევნელად ჯაშუშებს უნიშნავენო. როგორც ამბობენ, ადმირალ მაკაროვის მისვლის შემდეგ პორტ-არტურში მდგომი ჯარი აღფრთოვანებულია. რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონელები პორტ-არტურს ვერასოდეს ვერ აიღებენო.

18 მარტი

კოპენჰაგენი. აქ მოვიდნენ ინგლისის მეფე-დედოფალი.

ბერლინი. ბელგრადიდან იტყობინებიან, უკანასკნელად გადაწყდა, რომ სასახლიდან დათხოვნილ უნდა იქმნან არა მარტო პირველი ადიუტანტი პაპოვიჩი, არამედ ყველა ადიუტანტი და მხლებელი, რომლებიც მთავრობის მიერ არიან დანიშნულნიო, მაგრამ ამასთანავე დააწინაურებენ; ხოლო ის აფიცრები, რომელნიც ძველ პოლკებს უყვარდათ და კიდევ მსახურებენ ჯარში, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნებიან და პენსია დაენიშნებათ დაუყოვნებლივ. ამის შემდეგ რუსეთი დანიშნავს თავის ელჩს.

სოფია (სპეციალური). კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რუსეთისა და ავსტრიის ელჩები ოსმალეთის ნოტის უკანასკნელ პასუხში ამბობენ, რომ გენერალი დე-ჯორჯის დაუყოვნებლივ წავა სალონიკს, და დაბეჯითებით თხოულობენ, რომ ოსმალეთის ჟანდარმერიაში უცხოელ აფიცერთა რიცხვი უკლებლად დარჩესო. აფიცერთა რიცხვი 60-მდე უნდა ადიოდეს, მაგრამ ამ ჟამად მხოლოდ 25. დანიშნული იქმნება აგრეთვე საჭირო რიცხვი უნტერ აფიცერთა. სტამბოლიდან მოსული ცნობა, ვითომ აჯანყებულთა რაზმები გამოჩენილიყვნენ და შეტაკება ჰქონებოდეთ, ტყუილია.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი

კრონშტადტი. გოგლანდიდან გვატყობინებენ, გუშინ ამ კუნძულის მახლობლად გაიარა ყინულის მჭრელმა გემმა „ერმაკ“-მაო.

პეტროპავლოვსკი. დღეს დილას გზათა მინისტრი აქედან პეტერბურგს გაემგზავრა.

მაინის ფრანკფურტი. ფრანკფურტის პურის ბაზრის კავშირის წევრებმა, იმპორტერებ წისქვილების პატრონებმა ფრანკფურტსა, ცნახსა, დარმშტადსა, ოფენბახსა, ნიდერ შტეინსა, ფიდბერგსა, ჰესენსა და სხვა ადგი ერთმანეთს შორის პირობა დასდეს, წლის 1 აპრილიდან სამხრეთ რუსეთსა, ოს თსა და დუნაიის მხარეში ხორბლეულობის ვის დროს გერმანია-ნიდერლანდიის სა ხელშეკრულობით ვიხელმძღვანელოთო.

სტამბოლი. სასანიტარო საბჭომ შე საქმეთა ზედამხედველობა, რომელიც პორტ- ტურიდან გამოსაგზავნ საქონლისათვის იყო ნიშნული.

მოსკოვი. ქალაქის გამგეობამ აღნიშნა გილები ღამის ათ თავშესაფარას ასაგებად.

კოპენჰაგენი. მეფე უდუარდი მეუღლით ოთხშაბათს მოვიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადა

განცხადებან

ქირით იძლევა
ორი დიდი პარვი საწყობ
საჯინიბოთი
„ფრანცია“-ს ნომრების ეზოში. იკით
ამ ნომრების კანტორაში. (3—98—1

სხვა-და-სხვა ყვავილის
საუკეთესო
ო-დე-კოლონი
№ 4711
რეინის თაიგულები
უმჯობესი, ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისთვის
ყოველგვარ ყვავილის სუნნელებისა.
(მც. 10—9)

მოიკითხეთ
ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების
ხილეულობის უდიდესი
სანერგე.
სადგური სკრა. იყიდება საუკეთესო ჯიშ ნერგები. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფ ლისში მ. გ. ფრიდონოვს, სერგიევის ქ № 11 და ქუთაისში პირველ სამეურნეო ამ ნაგობა „კოლხიდასთან“. კატალოგები იგზავნ უფასოდ. (10—71—7)

დურგალთა ამხანაგობის წევრთა საყურადღებოდ.
თანახმად ტფილისის დურგალთა წლიურის კრ **დადგენილებისა** (15 თებერვალს 1904 წ.) ვსთ ყველა წევრებს, თავ-თავიანთი **პაი შეავსონ** და საც სრული პაი აქვს, **მეორე პაიც აიღოს**. გარიშო 1903 წლის მოგებიდან გადადებული 60 რომელიც ყოველ შემოტანილ საწევრო მანეთ 29 კაპეიკს შეადგენს, პაის ფულს მიემატება და წ რებს ფულის ნაცვლად ბარათები დაურიგდებათ **ხანამოგს საქმეების გასაფართოებლად**. უმო ჩილესადა ვსთხოვთ ამხანაგობის წევრთ, ეს გან დება ერთმანეთში გაავრცელონ.
ამხ. გამგ. თავმჯდომარე **გიგო თოიძე**.
(3—6.—2)

საათის საწყობი
იულიუს გენესი
ტფილისი, დვორცოვი ქუჩა.
მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტ ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობ რულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფ და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე მიერია.
პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უ სყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—1)

Доз. ценз. Тифлисъ 18 марта 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.